საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

N 3302/07

3302-07-2-201907181033

18/07/2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა''-ს დაგეგმილი აქვს გააუმჯობესოს ქვეყნის ელექტროგადამცემი ქსელი, რისთვისაც, გურიის რეგიონში გეგმავს ,,გურიის'' პროექტის განხორციელებას.

,,გურიის'' პროექტი ითვალისწინებს:

- არსებული 220 კვ ეგხ ,,პალიასტომი 1''-დან საპროექტო 220/110/35 კვ ქ/ს ,,ოზურგეთამდე'' დაახლოებით 2,7 კმ სიგრძის 220 კვ ახალი ორჯაჭვა ელექტროგდამცემი ხაზის (,,პალიასტომი 1''-ის შეჭრა ქ/ს ,,ოზურგეთში'') მშენებლობას;
- 220/110/35 კვ ქ/ს ,,ოზურგეთის'' მშენებლობას;
- საპროექტო 220/110/35კვ ქ/ს ,,ოზურგეთიდან'' მშენებარე ,,ზოტიჰესამდე'' 45 კმ სიგრძის 110 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ,,ოზურგეთი-ზოტიჰესის'' მშენებლობას.

,,გურიის'' მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს მე-10 და მე-11 მუხლების, ასევე, ,,220 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის ,,პალიასტომი 1''-ს შეჭრა 220/110 კვ ძაბვის ქ/ს ,,ოზურგეთში''; 220/110 კვ ძაბვის ქვესადგური ,,ოზურგეთის'' და 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაციის სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 ივნისის №2-553 ბრძანების საფუძველზე გაცემული №48; 22.04.2019 სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ:

1. ,,გურიის'' პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშს – 1 ეგზ;
2. აღნიშნული პროექტის არატექნიკურ რეზიუმეს - 1 ეგზ.
3. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს;
4. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
5. პროექტის განთავსების ტერიტორიის სიტუაციურ სქემას (შესაბამისი აღნიშვნებით);
6. 1-5 დანართების ელ ვერსიას და GIS კოორდინატებს (shp ფაილთან ერთად) – 1 CD.

პატივისცემით,

უჩა უჩანეიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი